წელიწადი მეცხრე.—№ 419

პარასკევი, 19 აპრილს 1874 წ.

**გაზეთის ფასი**

მაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ჩერქეზიშვილის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.



**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: თბილისის, 19 აპრ. 1874 წ.—წვრილი ამბებ—„დროების" კორრესპონდენცია: ავჭალიდგან—ქუთაისიდგან—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—ესპანია—ინდოეთი—ნ ა რ ე ვ ი— ს ა მ ა რ თ ა ლ ი: ლუარსაბ ლოლუას საქმე—განცხადება.


# საქართველო

თფილისი 19 აპრილს, 1874 წ.

ჩვენი დღევანდელი ავჭალელი კორრესპონდენტი სხვათა შორის შკოლის დანიშნულებაზედაც გველაპარაკება. ის ამბობს, რომ ყოველს შკოლას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ თავის მოწაფეებს ჩაუნერგოს საზოგადო სარგებლობის გრძნობა, რომ იმათ შკოლაში შეძენილი სწავლა, კაცობრიული ზნე როგორც თავის შვილების, ისე სხვების შვილების სასარგებლოდ მოიხმარონ. ორი-სამი ამგვარად გრძნობა და ზნეობა განათლებული კაცი მთელს სოფელს შეეწევა წერა-კითხვის და უფროსთ უცროსთ შორის გონიერის ურთიერთობის გავრცელებას. დრომდის, სანამ სიღარიბეში ჩავარდნილი გლეხები ყოველივე სოფელში შკოლის გახსნას შეიძლებდნენ, ესთითო-ოროლა კაცი შკოლის მაგიერობას გაგვიწევდნენო.

რაღა ბევრი სალაპარაკოა, რომ შკოლას ყოველთვის ის აზრი აქვს, რომ შესძინოს იმაში მოსწავლეს, რაც იმას დაბადებიდგან არ გამოჰყოლია და უმეცრებით სავსე ოჯახობაში არ შეუმატებია. შკოლა ყოველთვის იმაზედ არ ჰფიქრობს, რომ ნამდვილი პედაგოგები გამოზარდოს, მაგრამ ყოველთვის ახსოვს იმას, რომ იმის საფარიდგან უნდა გამოვიდნენ ჩვეულებრივს დედ-მამებზედ უფრო დედ-მამობის ღირსი ქალ-ვაჟი, რომელთაც შემდეგში უფრო გაწვრთნილი ყმაწვილები გაგზავნონ შკოლაში და როგორც პატარაობისას ისე მოზრდილობაშიაც გაუადვილოს შკოლას თავისი მოვალეობის ასრულება. ამგვარის ერთმანეთის დახმარებით ოჯახსა და შკოლას წინ მიჰყავსთ ყოველივე ხალხი და გასაკვირველი იქნებოდა, რომ ჩვენ ქართველებს არ გვცოდნოდა ეს ძველთაგან უძველესი ჭეშმარიტება.

ჩვენში განათლებაზედ და თითქმის მეცნიერებაზედ პრეტენზიის მქონე ყმაწვილკაცობისაგან ზოგნი იმას ამბობენ, ვითომც გაღატაკებულს ხალხს ჯერ მუცლის გამოძღომა ეჭირვება და მერმე შკოლებიო. ზოგიერთი ამათგანი სწორედ ამიტომ არაფერს ჰფიქრობს ხალხში წერა-კითხვისა და გონიერების გავრცელებაზედ. ამ კაცებთან ბაასი ძალიან შორს წაგვიყვანს და ამიტომ აქ ერთი უბრალო შენიშვნის მეტს არას ვიტყვით: ნუ თუ გონიერება ამას მოითხოვს ჩვენგან, რომ სანამ ხალხი კარგად არ გამოძღება, მანამდის შკოლებზედ არაფერი **უნდა ვიფიქროთ? როდის უნდა მოვესწროთ** ამ ნეტარს დროს? რამდენიმე ათასი წლის განმავალობაში კაცობრივობა არ გამძღარა ხომ, მაგრამ წერა-კითხვასა და მეცნიერებაზედ ხელი არ აუღია. მართალია ამ მეცნიერებისაგან უმრავლესობას ერთი ნამცეცის მეტი არ რგებია, უმეტესი ნაწილით ყოველთვის იმათ უსარგებლებიათ, ვინც მუდამ ფუფუნებასა, და კმაყოფილებაში ყოფილა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს უმცირესი გონებითი საზრდო სწორედ იმ ულუფას შეჰფერის, რომელიც უმეტესობას გაუმაძღრობამ არგო. ჩვენში თუ სხვა არაფერი ლობიო და მჭადი ბევრი გვაქვს, მაგრამ იმის შესაფერს სწავლის გავრცელებას კი ვერ ვხედავთ. აი ეს შეძლების შესადარი სწავლის გავრცელება სურთ ზოგიერთებს, რომელნიც ზევით მოხსენებული მეცნიერების მოწინაღმდეგე აზრის არიან, მაგრამ თუ მოუხერხებლობით, თუ ნამდვილი დაბრკოლების გამო ამ საქმეში ვერ უთავებიათ.

ერთი უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ხალხში წერა-კითხვისა და სწავლის გავრცელებას გვიშლის, არის სიღარიბე. მაგრამ თითოეულმა სწავლის გავრცელების მოყვარემ უნდა იცოდეს, რომ ყოველივე საქმეს დაბრკოლება უძღვის. ზოგი დაბრკოლება უძლეველია, თუ სამუდამოდ არა დროებითად მაინც, მაგრამ სიღარიბე იმისთანა მიზეზი არ არის, რომ იმას კაცმა ვერ სძლიოს და წელი ვერ გაუმართოს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ სწავლებაში მოღვაწეობის მსურველმა ნამეტნავე სინაზეზედ ხელი აიღოს და შკოლის საქმის რიგიანად წაყვანისათვის არ მოსთხოვოს ხალხს, რისაც მიცემა იმას არ შეუძლიან. ჩვენი ყმაწვილ-კაცობა რომ ნამეტნავად არ დაწაფებოდა ცხოვრების სიტკბოებას, ცოტათი რომ მოევიშრა იმას თავისი ხშირად წრეს გარდასული მოთხოვნილება, შერიგებოდა ყველაფერს, რასაც ის სიტყვით აღიარებს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღეს ეხლანდელ შკოლებზედ უმრავლესი თუ არ გვექნიბოდა, რაცა გვაქვს, ის მაინც ნამდვილ გზაზედ დაყენებული იქნებოდა.

ეს ჩვენი აზრი რომ მართალია, ამას ის ფაქტი გვიმტკიცებს, რომ ხალხს მრავალგან აუშენებია თავის ხარჯით სასკოლო შენობები, არ დაუზარებია და არც დაუზოგავს თავისი შვილების შკოლაში გაგზავნა, მაგრამ ეს იმისი თითქმის თავშეწირულება, რომელსაც ჩვენი ყმაწვილკაცობა სრულიად ვერ ბაძავს, ხშირად, თითქმის ყოველთვის უნაყოფოდ დარჩენილა და სასკოლო სახლები ან სულ დაუკეტიათ და ან მგზავრი ხელოსნების სადგურად გაუხდიათ.

რათ მომხდარა ეს ამბავი? იმიტომ რომ იმ საფასურს, რომლისაც გაღება ხალხს შეუძლიან, მარტო უხეირო მასწავლებლები სჯერდებიან, და რადგანაც უხეირო ხეირიანად ვერას ასწავლის, თითქმის უბრალო წერა-კითხვასაც, ამიტომ ხალხს ნელ-ნელა გულს აკლდება და შკოლის შენახვაზედ ხელს იღებს.

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, ხალხმა რომ იმდენი ხარჯის გაწევა შეიძლოს, რამდენიც ხეირიანი მასწავლებლის დასაკმაყოფილებლად და შკოლის მოსაწყობად კმაროდეს, მაშინაც ვერ ვიშოვიდით ჩვენში იმდენს ხეირიანს მასწავლებელს, რამდენიც საჭიროა. ამიტომ ჩვენ სხვა ღონე უნდა მოვძებნოთ, რომ ამ ცუდი მდგომარეობისაგან გამოვიდეთ, რომ შეძლებისამებრ გავავრცელოთ ხალხში მარტო წერა კითხვა კი არა, სწავლაც. მიზანი, რომელიც დღევანდელს ჩვენს კორრესპონდენტს შკოლისათვის დაუდვია, ისეთი მიზანია, რომელსაც ყოველი შკოლა უნდა მიელტოდეს; მაგრამ სარგებლობა, რომელსაც ამ გვარი შკოლა მოგვცემს, მხოლოდ იმდენი იქნება, რამდენიც მარტო ერთს შკოლას შეუძლიან. ჩვენ ჯერ ჯეროვნით არა გვყავს იმდენი ხეირიანი მასწავლებელი, რომ შკოლების რიცხვი გავამრავლოთ. ეხლანდელი შკოლების ფეხზედ დაყენებისათვისაც ჩვენ სხვა ღონე უნდა ვეძიოთ. ეს საშუალება ჩვენის აზრით „მოძრავი შკოლების" ანუ „მგზავრი მასწავლებლობის" გამართვაა, რომელზედაც შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

## წვრილი ამბები

— 14 აპრილს ქუთაისის მაზრის სამსაჯულოში გაუთავებიათ საქმე იმ უბედურების გამო, რომელიც ფოთი-თფილისის რკინის გზაზედ 12 ოკტომბერს 1872 წ. მოხდა და რომლისგამო ხუთი კაცი მოკვდა და 11 დაიჭრა.

ბრალდებულები: გზის გამგე კლიმენკო, სტანციის უფროსები იაკუბოვსკი და სიკორსკი, მემაშინე ტორენცი და დისტანციის უფროსის თანაშემწე დოფენი ამას წინეთ დანაშაულებად იცნო შორაპნის მომრიგებელმა მსაჯულმა და ორი თვის საპყრობილეში დაწყვდევა განუჩინა იმათ.

ქუთაისის სამსაჯულომ დამნაშავედ მარტო იაკუბოვსკი და სიკორსკი იცნო, მაგრამ, სხვა და სხვა შემამსუბუქებელი გარემოების დახედვით, განუჩინა მათ სამი კვირის დაწყვდევა. სხვა ბრალდებულები კი გაამართლეს.

— „მოსკოვის უწყებებს" გადაუბეჭდია „კავკაზიდამ" ცნობა ახალციხიდგან ბორჯომამდის რკინის გზის გამოსადეგი ქვაყრილის გაკეთებაზედ, რომელიც დაბეჭდილი იყო ერთს წინანდელს „დროების" ნომერში და ბოლოს ამბობს, რომ უთუოდ ალექსანდროპოლიდგან (განჯიდგან) პირველი ხარისხის ციხე ჯავახეთის ახალქალაქში უნდა გადიტანონო.

— ამბობენ, რომ კახეთს და განსაკუთრებით გამოღმა კახეთს კუტი-კალია მოსდებია და მცენარეობას აოხრებსო.

— ამ დღეებში დაიბეჭდა უფ. სტეფანე ზარაფოვის სათაურით „ლექსები, სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან" და ისყიდება ერთ შაურად.

— შარშან საქალაქო კრებამ, ქალაქის თავის თ. ი. დ. თუმანოვის წინადადებით გარდასწყვიტა ქალაქის ხარჯით სახელოსნო შკოლის გახსნა, რომელსაც სახელად უნდა დარქმევოდა „მიხაილის" სახელოსნო—შკოლა" დიდის თავადის **მიხაილ ნიკოლოზის ძის** ათი წლის ნამესტნიკობის სახსოვრად. ქალაქმა ყოველ წლივ 10 ათასი მანეთი უნდა აძლიოს სარჩოდ ამ შკოლას. სასკოლო სახლის აშენება კი ქალაქის კრებამ შეწირული ფულით განიზრახა. ეხლა ქალაქის სეკრეტარს თფილისის მოამბეში დაუბეჭდია შემოწირული ფულის ანგარიში, რომლისაგან სჩანს, რომ აქამდის ამ შკოლის თანამგრძნობლებს თერამეტი ათას ას ოცდა ხუთი მანეთი შეუწირავს.

აქედამ თფილისის ამქრობას შეუწირავს ექვსი ათასი მანეთი და ერთ უცნობს ხუთასი მანეთი. ამას გარდა შემწირველების სიაში მოხსენებულია 91 თფილისელი შეძლე კაცები, რომელთაგან ერთს 500 მანეთი შეუწირავს, ერთს—350 მან., ოთხს—სამას სამასი მანეთი, სამს—ოცდა ხუთ ოცდა ხუთი თუმანი, შვიდს—ოც ოცი თუმანი, თხუთმეტს—თხუთმეტ-თხუთმეტი თუმანი, ორს—125 მან. თითოს, ოც და ცხრას—ათ ათი თუმანი, ერთს—შვიდ თუმან ნახევარი, სამ შვიდ შვიდი თუმანი, თორმეტს—ხუთ ხუთი თუმანი, და ორს—ორ ორი თუმანი.

სასკოლო შენობა უნდა იქმნეს ეკზარხოსის მეიდანზედ, მტკვრის პირას. რადგანაც ეხლა კაი დარები დადგა, ქალაქის გამგეობას უნდა ეხლავე შეუდგეს ამ სახლის აშენების თავდარიგს და ამიტომ სთხოვს ყველას, ვინც სიაზედ ხელი მოაწერა და აქამდის ფული არ შემოუტანია, შეიტანოს საჩქაროდ ეს ფული, ან პირად ქალაქის თავს წარუდგინოს და ან კონვერტით იმის სახელზედ გააგზავნოს ქალაქის გამგეობაში, და თუმცა შესაძლებელია 28 აპრილამდი. ამას გარდა ქალაქის გამგეობა მიიწვევს ამ საქმის შესაწევნად ყველას, ვისაც ჯერ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია და თანაუგრძნობს ამ ღარიბი ამქრობის სასარგებლო საქმეს.

## „დროების" კორრესპონდენცია

ს. ავჭალა 10 აპრილს, 1874 წ.

მე ხშირად გამიგონია იმ კაცებისაგან, რომელთაც მასწავლებლობის არც ხალისი და არც ნიჭი ჰქონიათ, მაგრამ რომელნიც საჭიროებას მასწავლებლებად გაეხადა, რომ მოსწავლე ყმაწვილები ჩვენ ცუდის თვალით გვიყურებენ, შკოლა და მასწავლებელი იმათ სძულთო. რა უნდა იყოს ამისი მიზეზი? საიდგან შეუდგენიათ ყმაწვილებს ამ გვარი აზრი? მე ვფიქრობ, რომ ყმაწვილებში ეს მტრული შეხედულება შკოლაზედ და მასწავლებელზედ იმათ დედ-მამას

ჩაუნერგავს, ან ამისი ზიზღი თითონ მასწავლებლები ყოფილან,—თითონ საკუთარის გამოცდილებით იციან ყმაწვილებმა, რომ შკოლა და მასწავლებელი იმათი მეგობარი არ არის.

მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ დედ-მამები ჩემი სახელით აშინებდნენ ყმაწვილებს, ეუბნებოდნენ, აი შკოლაში შეგიყვანთ და იქ თქვენ სეირს გაყურებინებენ, მარცვლებზედ დაგაჩოქებენ, გაგროზგავენ, ლინეიკით ხელებს დაგისივებენო და სხვ. რაღაც ბედათ, მე შკოლის გახსნამდის შევიტყე ეს ამბავი და სანამ სწავლებას დავიწყებდი მანამდის მოვიგე ყმაწვილების გული, მე იმათ თავი შევაყვარე და ამნაირათ ავცილდი უსიამოვნობას. ახლა მე არა ვხედავ უკმაყოფილოდ და მტრულად მომზირალს ყმაწვილებს, ვიცი, რომ იმათ მე მტარვალად არ მივაჩნივარ, ისინი ჩემგან არ მოელიან გაჯავრებას ყოველივე მომეტებული სიტყვისათვის ან ცელქობისათვის.

ქართლში, რა სოფელშიაც შკოლა არ არის, ჩვენ ყოველგან ვნახავთ მასწავლებლის გლეხ დედა-კაცს ანუ ოსტატს, როგორათაც იმათ ეძახიან. ამ მასწავლებელთან დადის ყმაწვილ-ქალობა 10 წლიდგან დაწყებული თითქმის გათხოვებამდის. ის ყმაწვილებს მარტო ხელ-ნაწერის კითხვას ასწავლის, რადგანაც ნაბეჭდი წიგნი იქ სრულიად არ იშოვება. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ წესი, რომლითაც ეს დედა კაცი ყმაწვილებს აკითხებს, ადამსონის არის. თვითონ არც კი შრომობს ამ სწავლებისათვის: ხშირად ამ ყმაწვილ ქალებს ასწავლის იმათივე ამხანაგი, რომელსაც კითხვაში სხვებისთვის გაუსწრია, სხვებზედ წინ წასულა. პირველად ცალკ-ცალკე ასოებს ასწავლის, აი რა ნაირად: აიღებს მასწავლებელი რომელიმე ხელ-ნაწერს ლოცვას ან მოკითხვის წიგნს და მითითებით გამოათქმევინებს თითოეულს სიტყვას, მაგრამ ისე რომ გამოთქმაში სიტყვა ისე არ ისმის, როგორც თითოეული ასოს ხმოვანება. ამ გვარი კითხვით რამდენიმე თვის განმავალობაში ყმაწვილი ზეპირად სწავლობს ყველა სიტყვას და თანდისთან უფრო და უფრო არჩევს ასოებს და ბოლოს დიდის გაჭირვებით გებულობს ხმების ერთი ერთმანერთზედ გადაბმას და იმათგან სიტყვების შედგენას.

როცა კითხვაში გავარჯიშდებიან ყმაწვილები, მერმე იმათ წერას ასწავლიან. რადგანაც გლეხებს იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ საწერი ქაღალდი იყიდონ, წერას როხის ბეჭზედ ასწავლიან. წერას არაფერი ვარჯიშობა წინ არ უძღვის, პირ-და-პირ ასოების წერას აწყებინებენ.

ეს არის სულ იმათი სწავლა, რომელსაც შედარებით ძალიან ცოტას დროს ანდომებენ. უმთავრესი ყურადღება კრევასა და ქსოვაზედ არის მიქცეული. ყმაწვილებს აქსოვინებენ წინდებს, კრუჟეოს, ხალიჩებს, აკერვინებენ პერანგებს, ახალუხებს და სხვ. და ყველა ამავებს მასწავლებელი თავის სასარგებლოდ ჰყიდის. ამას გარდა ყმაწვილები, რომელნიც კერვისა და ქსოვის გამო მთელი დღე მასწავლებლის სახლში არიან, პატარა ბავშვებს უვლიან და სახლ-კარს სწმენდენ

ეჭვი არ არის, რომ ყმაწვილებს ძალიან ეზარებათ ის მასწავლებელი, რომელიც გაუგებარს სიტყვებს აზეპირებინებს რამდენიმე თვის და იქნება წლის განმავალობაში, რომელიც აიძულებს მათ, რომ მთელი დღეები წელ გაუმართავად კერვასა და ქსოვაში გაატარონ, რომლისაგან ისინი თითოეული გაუფრთხილებელად წარმოთქმული უბრალო სიტყვისა და უმანკო ცელქობისათვის სასტიკს სასჯელს მოელიან. აი ამგვარია ყმაწვილების მდგომარეობა და რა გასაკვირველია, თუ იმათ ყოველივე მასწავლებლის ეშინიათ, რომ ისინი იმათ არ უყვართ, რომ სწავლა ეჯავრებათ, რომ დედ მამამ ჯოხის ცემით უნდა გაისტუმროს ისინი სასწავლებელში.

ხსენებული შინაური მასწავლებლები თავის შრომის ფასად სხვა და სხვა საჩუქარსა და ძღვენს იღებენ. ამას გარდა, როცა იმისი მოწაფე გათხოვდება, მასწავლებელი, სანამ საქმროსაგან ექვს ან ათს მანეთს არ აიღებს, მანამ საცოლოს საყდარში წასვლის ნებას არ აძლევს. ვინ იცის რამდენს მწყევლიან ეს შინაური მასწავლებლები, რომ იმათ ამისთანა შემოსავალი დავუკარგე.

ჩემის აზრით შკოლამ ბოლო უნდა მოუღოს ყმაწვილების ამ გვარს ტანჯვას და იმათი დედ-მამის ცარცვას. გონივრულ საფუძვლებზედ დამყარებული სახალხო შკოლა, თუმცა რასაკვირველია პედაგოგებად ვერ გახდის იმას მოსწავლე ყმაწვილებს, მაგრამ ცოტათი მაინც შეაჩვევს მომავალს დედ-მამებს, რომ თავის შვილებს ისე მოეპყრან და ასწავლონ, როგორც იმათ ეპყრობოდენ და ასწავლიდნენ.

შკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის სარგებლობა, რომელიც შეუძლიან მოგვიტანოს თითოეულმა მოსწავლე ყმაწვილმა ხუთი ექვსი წლის შემდეგ: შკოლამ უნდა შეაყვაროს იმათ შრომა, მისცეს მათ საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრებად ყოფნის სურვილი, რომ იმათ ისეთის ხალისით ასწავლონ როგორც საკუთარი ისე სხვის შვილებს.

სოფელს, რომელსაც ორი-სამი ამ გვარად მომზადებული წევრი ეყოლება, ისე ძლიერ აღარ დასჭირდება შკოლის გაკეთება. სანამ სოფელი შკოლის გახსნას შეიძლებდეს, მანემდის ის ამ შინაურული ღონით მაინც ისარგებლებს. ერთს კარგს სახალხო შკოლას შეუძლიან, რომ ამ გვარი მასწავლებლები რამდენიმე სოფელს აღუზარდოს. ამას მე იმის გამო ვამბობ, რომ ქალები ჩვეულებრივ სხვა სოფლებში თხოვდებიან და ამგვარად ერთს შკოლაში ნასწავლი ქალები რამდენიმე სოფელში წერა-კითხვის გავრცელებას შეიძლებენ.

ეს არის ჯერ-ჯერობით ყველაზედ უფრო სანატრელი და შესაძლებელი, ამიტომ რომ ყოველ სოფელში შკოლის გახსნა ჯერ მოუხერხებელია, რადგანაც ხალხი დიდს სილარიბეშია და შკოლის რჩენას ჯერ ვერ შეიძლებს

ქალი მასწავლებელი.

---

ქუთაისი, 4 აპრილს 1874 წ.

ერთს გაზეთს ვერ წაიკითხავს კაცი, რომ ჩვენის ადვოკატების საყვედური, მათის ცუდის მოქმედების ამბები არ ეწეროს შიგ. მაგრამ მგონია გვიხსნას ღმერთმა მათის ხელისაგან: გავიგონეთ, რომ აქაური ადვოკატები უნდა იქმნენ გამოცდილნი მაზრის სამსაჯულოში და თუ მისგან არ ექნათ მოწმობა ადვოკატობისა, ისე არ ექნებათ საქმის წარმოების სიმართლე. ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია. ღმერთმან ინებოს, ეს ასე იქმნეს და ვისურვოთ მალე შესრულდეს, რომ დროზედ მოელოსთ ბოლო მათგან ცარცვა-გლეჯას და ჩვენის ხალხის გაოხრებას. მართალი მოგახსენოთ, ეს ჩვენი ქვეყანა აიკლეს ამათ; ესენი ხომ ადვოკატები არ არიან, არამედ კლიაუზნიკები, მატყუარები და მცარცველები არიან და თუ საჩქაროთ არ მოელოთ ბოლო, ხუთი მაზრის სამსაჯულოც რომ დაწესდეს ქუთაისში და ხუთ-ხუთი მომრიგებელი სამსაჯულო, თითო უეზდში, ისინიც ვერ აუვლენ მათგან ადენილს ალიაქოთს და ვეღარ მოაბრუნებენ ჩვენს დასაწყლებულს ხალხს. ერთის მათგანის, სხვათა შორის, მოქმედებას რომ გარდაავლოს თვალი კაცმა, სწორეთ იტყვის, რომ, ღმერთო, შენ გვიხსენი მეორეს ამისთანასაგანაო. ხალხი ცხადად ამბობს, რომ მისთვის დადგა შუაგულ ბაზარში, რომ ბევრს გამვლელ-გამომვლელს შეხვდეს და ცარცვოს, თუმცა აძით მან ჯიბე მაიც ვერ გატენა და ამიტომ აბრიყვებს უგუნურს ხალხს და იმისთანა საქმეებში ატოპინებს თავს, რომ გამოსვლა გაუჭირდებათ. მაგრამ მას რა ენაღვლება, თვითონ ორ სამ მანეთს აიღებს. ამან სხვათა შორის ერთი სოფლის კაცი გააბრიყვა და შეატანინა საჩივარი, რომ ამა და ამ კაცმა ყალბი ანდერძი შეადგინაო. წარმოიდგინეთ, რატომ ქმნა ეს საქმე: სამი მანეთისათვის და ვისზედ! იმაზედ, რომელიც იყო სიყრმიდგან მისი კარგი ამხანაგი და მეგობარი, და რომ უსაყვედურეს მას სხვებმა, მან თავი ამ სიტყვით გაიმართლა: იმან ჩემზედ მეფე სოლომონის დროს საჩივარი დაწერაო, ფულებს მიჩიოდაო და მიტომ დავწერე მე ეს იმაზედო. ამფერუმ კაცო, რომ ფულების გარდახდევინების საჩივარსა და ციმბირში დასაკარგავს საჩივარს შუა განსხვავება ვერ დაგინახავს. შემდეგ ამისა რა სიკეთეს უნდა მოელოდეს საბრალო ჩვენი ხალხი ამისთანა კაცისაგან.

რამოდენათ დაბრმავებული არის საბრალო ჩვენი ხალხი, უმეტესად საქმის მქონე, ვერ წარმოიდგენს კაცი. იმას სრულიად არ სჯერა, რომ ყოველს საქმეში არ არის საჭირო ვექილი; ფიქრობს რომ, თუ ვექილი ეყოლა, აქვს თუ არა სიმართლე, მაინც მოიგებს და თუ არ ეყოლა, წააგებს, რაც უნდა მართალი საქმე ჰქონდეს; ამიტომ ის მოძებნის ვილაცა ოხერს და რაზბონიკს, აძლევს მას უკანასკნელს ოფლით მოგებულს კაპეიკსა. თუ ამ ადვოკატმა მოიგო, იქადის მე მოვიგეო, გახლავარ ბიჭი და თუ წააგო, აჯერებს მარწმუნებულს, ასე სჯობიაო, მეც ეს მინდოდაო, რომ სათავეში მოვიგებო, უფრო საფუძვლიანი იქნებაო, რომ ამ სულს მის განჩინებას თავზედ გადავახევო. საქმის პატრონიც ბუნებით სულ ტი უყურებს და ამრიგათ იცარცვება. მეც ხანდისხან ვიღებ საქმეს, თუმცა სრულიად არ მაქვს ხალისი ამ მოხელობის, და მრავლისათვის მითქვამს, როცა წამ კითხავს მისი საქმე, რომ ვექილი საჭირო არ არის სამსაჯულოში, უიმისოთაც მოიგებს, ან წააგებს, ტყუილად ფულს დახარჯავს. მაგრამ საკვირველი დაუჯერებელი არის ჩვენებური ხალხი, მაინც მიმართავს ვილაც ოხერს ვექილს, და როცა საქმე თავდება ისე, რომ მისი ამორჩეული ვექილი ორს სიტყვასაც არ იტყვის, ან არ ათქმევინებენ, მისთვის რომ მისი ქადაგება ტყუილი რახა-რუხია, მერეთ კი საბრალო დაიწყებს ჯავრობას, ვაიმე რისთვის დავკარგე ფულიო, მაგრამ სიკვდილის შემდეგ სინანული გვიან არის. ღმერთო როდის იქნება, რომ ჩვენი საცოდავი ხალხი გამოვიდეს ამ მდგომარეობისაგან.....

ფ. ვ.

---

# რუსეთი

— „სამსაჯულო მოამბე“ გვაცნობებს, რომ იუსტიციის სამინისტროში ეხლა მსჯელობა აქვთ მომრიგებელი მსაჯულების სამსახურის ვადაზედ. სამინისტროს მოუთხოვინა ყველა სამსაჯულო ადგილებისაგან იმათი აზრი ამ საგანზედ. უმეტესი ნაწილი იმათგან ამას ამბობს თურმე, რომ მომრიგებელი მსაჯული უვადოდ უნდა აირჩიოსო, და არა სამის წლის ვადით, რადგანაც ეხლა მოკლე დროს განმავალობაში მომრიგებელი მსაჯულები თავის მოვალეობის ასრულებას ძლივს ეჩვევიანო და ამისგამო შეიძლება, რომ ხელმეორეთ აღარ აირჩიონ იმისთანა კაცი, რომელიც მეორეთ არჩევის ღირსი არისო; მეტადრე იმიტომ არ ვარგა ეს სამი წლის ვადა, რომ მსაჯულების აღრჩევა ხშირად გავლენის მქონე პირებზედ არისო დამოკიდებული.

---

—„სამხედრო კრებულში“ გამოცხადებულია, რომ ამ წლის პირველს იანვარს სამსახურში ითვლებოდა 28,394 გენერალი, შტაბ-აფიცერი და ობერ აფიცერი და 726,903 სალდათი. ამ 727 ათას სალდათიდგან 569 ქვეითი ჯარი, 62 ათასი კავალერია, 78 ათასი არტირელია (ასებს არ ვანგარიშობთ). წასრული წლის განმავალობაში 87 კაცს გენერლობა მიუღია, 435-ს შტაბ-აფიცრობა და 626-ს ობერ-აფიცრობა.

---

—ვიატკის გუბერნიაში ერთი უეზდის ერობას ერთი დეპუტატის წინადადებით გარდაუწყვეტია, რომ იმ უეზდში მოძრავი შკოლები უნდა დაწესონ. ჯერ-ჯერობით ამ უეზდში სამი მოძრავი შკოლის გაკეთებას ჰფიქრობენ. ერობას 2000 მანეთი დაუნიშნავს ამ საქმისათვის.

---

— „პეტერბურგის უწყებებს“ გაუგონია, რომ კამმისიას, რომელსაც საქალებო უმაღლესი სასწავლებლის წესდება უნდა შეედგინა, გარდაუწყვეტია, თუ როგორი ხასიათის უნდა იყოს ეს სასწავლებელი და ეხლა მხოლოდ კერძო პირობებზედ აქვს თურმე მოლაპარაკება. ეს სასწავლებელი კამმისიის აზრით იმისთანა უნდა იქნეს, რომ იმაში ნასწავლს ქალს საქალებო გიმნაზიაში სწავლება შეეძლოს. მაგრამ ჯერ მარტო ერთი ამ გვარი უმაღლესი სასწავლებელი უნდა გაიხსნას და ისიც პეტერბურღში. ამ სასწავლებელს ყოველ-წლივ 60 ათასი მანეთი უნდა მოხმარდეს.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— ლეგიტიმისტების გაზეთები ძლიერ სასტიკად ეპყრობიან ეხლანდელს საფრანგეთის მმართებლობას. ამგვარად გაცოფებული მის დღეში არ ყოფილან ეს ბურბონთ მონარხიის აღდგინების მოსურნე კაცები. ამ პარტიის გაზეთები 20 ნოემბრის (ჩვენის აღრიცხვით 8 ნოემბრის) კანონს არ ცნობილობენ და თხოულობენ, რომ პალატამ, რაკი ხელახლა შეიკრიბება, წაართვას მარშალს მაკ-მაჰონს შვიდის წლის ვადით ჩაბარებული პრეზიდენტობა. ამ გვარი აზრების გასავრცელებელად ლეგიტიმისტებმა ეს დრო აღირჩიეს, რადგანაც ეხლა დროებით შინ გაშვებულს პალატას არაფერი შეუძლიან. ამიტომაც ეხლანდელი იუსტიციის მინისტერი ცირკულიარით მოითხოვს, რომ აცნობონ, თუ რომელს გაზეთში და რომელს სტატიაში მაკ-მაჰონის პრეზიდენტობის წინააღმდეგი აზრები, რომ კანონისამებრ მოეპყროს ამ გაზეთებს. ცირკულიარი

ამბობს, რომ 20 ნოემბრის გარდაწყვეტილების დარღვევა არ შეუძლიან არც თეითონ ნაციონალურ კრებას და არც თვით საფრანგეთს, რომლის მინდობილებითაც ნაციონალურმა კრებამ შვიდის წლის ვადით ჩააბარა მაკ-მაჰონს რესპუბლიკის პრეზიდენტობა.

### ესპანია.

— ერთი ინგლისის კონსერვატორული გაზეთის კორრესპონდენტი ამტკიცებს, რომ ეხლანდელი რესპუბლიკის ჯარებში ძლიერ ბევრი ალფონსის მომხრეები ურევიაო და თუ, ვინიცობაა, ბილბაოს ქალაქთან დონ-კარლოსისა და რესპუბლიკის ჯარებს შუა საქმე გადაწყდა, შეუძლებელია, რომ ალფონსის მომხრეებმა ამითი არ ისარგებლონ და ალფონსის კოროლობა არ მოინდომონო. ამისგამო როგორც დონ-კარლოსს ისე მარშალს სერრანოს თანასწორედ უნდა ეშინოდეს ამ საქმის, რადგანაც თუ ჯარმა ალფონსი კოროლად გაჰხადა, დონ კარლოსისა და სერრანოს უფლებასაც ძალიან შეარყევსო.

— მადრიდელი გაზეთის „დოოებიდამ“ გვატყობინებენ, რომ პორტუგალიის უწინდელი კოროლის შვილს დონ-კარლოსი შეპირებია, თუ მე ესპანიის კოროლობა ხელში ჩავიგდე, შენ უთუოდ პორტუგალიის კოროლობას გიშოვნიო. ეს ამბავი უთქვამს პორტუგალიის სენატში ერთ სენატორს მმართებლობის გასაფრთხილებლად. ამ ამბავს ესპანიური გაზეთი „დროება“ ამატებს: ნუ სწუხან პორტუგალიის სენატორები, დონ-კარლოსი თავის დღეში ესპანიის კოროლობას ვერ იშოვნისო.

### ინდოეთი.

— ერთს ინდოეთელს მეფეს (სიამისას) თავისი პარიჟელი კონსულისათვის შემდეგი წიგნი მოუწერია, რომელიც ძლიერ კარგად გვაჩვენებს როგორც ამ მეფის, ისე საფრანგეთის ხასიათს.

ქ. ბანკოკი, სამეფო სასახლე, 21 იანვარს 1874 წ.

საყვარელო კონსულო! დიდს ყმაყოფილებას მაძლევენ დრო გამოშვებით თქენგან მიღებული ალმტაცი და მწვრთნელი წიგნები, რომელნიც მატყობინებენ საფრანგეთის შესანიშნავ ამბებს. ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს, რომელიც ვგრძნობ, თუ რა ძნელია ჩემი საკუთარი მამულის ხეირიანად მართვა და იმის კეთილ-დღეობის ალსადგენად გამოცდილებისა და წინდახედულობის შეძენა, რასაკვირველია ყველაზედ უფრო გაიტაცებს მმართველობის შესწავლა და იმაში დახელოვნება იმდენად, რამდენათაც ამას განგვიმარტებს წასრული და უმთავრესად თანამედროვე ისტორია. ამ შესწავლისათვის არცერთი ქვეყანა არ გვაძლევს იმდენს მასალას, რამდენსაც საფრანგეთი; ამიტომ რომ ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც გაბედულად სცდიან ყველაფერს, და სადაც, როგორც ვიცით, რამდენიმე წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ხალხს გაუცვნია რამდენიმე მმართებლობა და სხვა და სხვა მმართველობის წესი. უოველივე ცნობა ამ გვარ საქმეებზედ სახალისოა ჩემთვის და ამიტომ მე ძვირფასად მიმაჩნია თქვენი მართივი და სიცოცხლით სავსე წიგნები, რომელთაც იმედია შემდეგშიაც არ მომაკლებთ. ჩემი ტახტზედ ასვლის სახსოვრად მე რამდენიმე მედალი მოვაჭრევინე, ჩემის მახლობელი მეგობრებისა და ნაცნობებისათვის. ერთს იმათგანს მე თქვენ გიგზავნით და გთხოვთ, მიიღოთ ჩემის გამეფების სახსოვრად და ულრმესი პატივის ცემის ნიშნად, რომელიც აქვს თქვენდამი თქვენს ერთგულს მეგობარს.

ტიულ-ლონგკორნს.

# ნარევი

— იაპონიის იმპერატორს ბრძანება გაუცია, რომ იმისი შესაფერი სახელმწიფო გარდასახადი იმსაც ყოველწლივ ახდევინონ. ეს გადასახადი ხაზინას 25 ათას დოლლარს შესძინებსო.

— ინგლისის ხაზინას ამ წელს 77 მილლიონი გირვანქა სტერლინგი, და მეტიც, უნდა შემოუვიდეს. აქედამ 27 მილ. გირვ. სტ. ღვინის ბაჟისაგან და 20 მილ. ტამოჟნისაგან. ხარჯი 27 ნახევარი მილლიონი გირვანქა სტერლინგია. 60 ათასი ჯარის შენახვა ამ წელს 2 მილ. და 600 ათას გირვანქა სტერლინგათ უღირს. (გირვანქა სტერლინგი ექვსი მანეთი და ხუთი შაურია. მაზანდა გირვანქა სტერლინგისა შვიდ მანეთზედაც მეტია.)

— როშფორთან პარიჟის კომმუნის ფინანსთ-მინისტერი ჟურდიც გაქცეულა. ეს ჟურდი ერთი იმ დიდ სახსოვარი დროის ძლიერ შესანიშნავ გაცთაგანია. სამხედრო სამსაჯულოს, რომლისათვისაც იმას კომმუნაში მონაწილეობის ანგარიში უნდა მიეცა, ძლიერ გაკვირვებული იყო იმისი პატიოსნებით. ამ კაცის განკარგულებაში მილლიონები იყო, მაგრამ მინისტრობის დროს იმას დღეში მარტო ათი ფრანკი, ე. ი. ორ მანეთ ნახევარი, მიჰქონდა აქედამ თავის სახარჯოდ. მისი ცოლი კი ქირით სარეცხსა რეცხდა. ცოლ-ქმარნი ძლიერ ღარიბ სამზარეულოში სჭამდნენ სადილს. თავის მინისტრობის დროს არაფითარი დავთრები არ ჰქონია, ისე ხარჯავდა ფულებს კომმუნის (ე. ი. ქალაქის გამგეობის) ყველა საჭიროებაზედ, მაგრამ სამსაჯულოს ყველაფერში დაწვრილებითი ანგარიში მისცა, თუმცა იმის განკარგულებაში რამდენიმე მილლიონი იყო. როცა სამსაჯულოში ამ კაცის საქმის გარჩევა იყო, ეხლანდელმა საფრანგეთის ფინანსთ მინისტერმა, მაყურებლების რიცხვში მყოფმა, დაიძახა თურმე: „ამ კაცს ფინანსების საქმე ჩემზედ უკეთ სცოდნიაო.“

— ყველა გაზეთზედ, უფრო პატარა გაზეთი, რაც კი ცაშ ქვეშეთში გამოიცემა, ერთი იაპონელი გაზეთი ყოფილა, რომლის ნომერი სათაურით და გამომცემლის გვარით მარტო ოცი სტრიქონია თურმე.

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულს შტატებში ამ ჟამად 221 ათასი მასწავლებელი ყოფილა. შკოლების სახარჯო ფულად შეაქვთ ყოველ წლივ 95 მილლიონი დოლლარი. მოსწავლე ყმაწვილების რიცხვი 14 ნახევარ მილიონამდის არის თურმე.

მარტო ნიუ-იორკის შტატში მილ. ნახევარი მოსწავლე ყმაწვილებია და 28 ათასი მასწავლებელი. ეს ერთი შტატი ხარჯავს შკოლებზედ ყოველ წლივ 10 მილლიონ დოლლარამდის

— „პეტერბურლის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ვიქტორ ჰუგოს რომანი „ოთხმოცდა ცამეტი“ ოფიციალური „სტრასბურლის გაზეთის“ ფელტონში დაიბეჭდებაო.

— ევროპის სახელმწიფოებში აი რამდენი სამხედრო ჯარებია: გერმანიაში—600 ათასი კაცი 1,776 ზარბაზნით და 450 ათასი რეზერვით, რომელსაც 306 ზარბაზანი აქვს; რუსეთში 436 ათასი კაცი 1312 ზარბაზნით და 143 ათასი რეზერვი 255 ზარბაზნით; საფრანგეთში—327 ათასი კაცი 1,728 და 106 ათასი რეზერვით, რომელსაც 432 ზარბაზანი აქვს; ავსტრიაში—327 ათასი კაცი 1268 ზარბაზნით და 125 ათასი რეზერვით, რომელსაც 338 ზარბაზანი აქვს. იტალიაში—228 ათასი კაცი 800 ზარბაზნით და 67 ათასი რეზერვით, რომელსაც 240 ზარბაზანი აქვს; ინგლისში—71 ათასი კაცი 240 ზარბაზნით ურეზერვოთ. აქ მხოლოდ იმასთანა ჯარის ანგარიშია რომელიც ყოველ წამში საომრად მზად არის. თორემ ციხეებში და გარნიზონებად დაყენებული ჯარი კიდევ სხვა ჰყავთ: გერმანიას—551 ათასი 570 ზარბაზნით, რუსეთს 723 ათასი 576 ზარბაზნით, საფრანგეთს 472 ათასი 360 ზარბაზნით. ამგვარად თუმცა რუსეთს უფრო დიდი ჯარი ჰყავს, მაგრამ რადგანაც რუსეთს დიდი ადგილი უჭირავს და რკინის გზები სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლები აქვს, ამიტომ ყველაზედ უფრო ძლიერ სახელმწიფოთ გერმანია ითვლება.

— სათათრეთში (ბოლგარიის ქალაქს სტვიტოვში) ერთი შემაძრწუნებული ამბავი მომხდარა. რამდენიმე წელიწადია თურმე მას აქეთ, რაც ერთი ბოლგარელი მოსცილდა თავის ოჯახს და სამზღვარს გარეთ გაემგზავრა, უნდოდა რომ იქ შრომით რამე სიმდიდრე შეეძინა. მისი სურვილი ასრულდა. მერმე დაბრუნდა თავის სამშობლოში, რომ სიბერეში მყოფს თავის მშობლებს შეწეოდა. სიტოვის ქალაქში რომ მოვიდა, იკითხა თავისი ოჯახის ამბავი და შეიტყო, რომ იმისი და გათხოვილა და მოხუცებულები კიდევ ცოცხალნი არიან. ის პირდაპირ თავის დასთან წავიდა. დას რასაკვირველია ძალიან იამა ეს და უნდოდა თავის მშობლებისთვის შეეტყობინებია.

— არა ნუ მიდიხარო, უთხრა მას ყმაწვილმა კაცმა: მოდი ერთი ვიხუმროთო. აი წაიღე ეს ფული, უთხარი იმათ, რომ ერთი მგზავრი გთხოვთ, ამაღამ ბინა მისცეთ თქვენს სახლშითქო.

დამ აასრულა ძმის თხოვნა და რამდენიმე ხანს იქით ახალმოსული თავის დედმამის სახლისაკენ გაემგზავრა. დას ეშინოდა, რომ საიდუმლო არ გამხილდესო და ამიტომ ის ძმას თან არ წაყოლია, უთხრა ორ საათს იქით მოვალო.

მოხუცებულებს ძალიან მხიარულად მიეღოთ სტუმარი. ცნობით სრულიად ვერ იცნეს, რადგანაც რამდენიმე წლის განმავლობაში ყმაწვილი სრულიად გამოცვლილი იყო. შრომას თავისი დაღი დაესვა მაზედ და სქელს წვეროულვაშს სრულიად გადაესხვაფერებინა იმისი სახის გამომეტყველება. ყმაწვილმა დედ-მამა რომ დაინახა კინაღამ ყელზედ მოეხვია იმათ, მაგრამ მისდა საუბედუროდ თავი შეიკავა.

მუსაიფში მოხუცებულებმა კითხეს იმას, რამდენი წლისა ხარო. პასუხმა მათ შვილი მოაგონა.

დედამ უცნობ შვილს ფულების ქონება შენიშნა. შვილის მოგონებამ და ამ ფულებმა იმას ერთი უხეირო აზრი მოაგონა.

— დაინახე, რამდენი ფული აქვს ჩვენს სტუმარს, უთხრა მან თავის ქმარს. მოდი ერთი ეს ფულები ჩვენ ხელში ჩავიგდოთ, შვილს გაუგზავნოთ, იქნება დაბრუნდეს.

— ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ როგორ უნდა მოვახერხოთ.

— ისე ძნელი არ არის მოხერხება, როგორც შენ გგონია. ნაჯახი ხომ გვაქვს, ერთი რომ ის თავში დავკრათ, საქმე გათავებული იქნება.

— მართლა ეს კარგათ მოგაგონდა, კარგიც კიდევ ის არის, რომ ეს კაცი უცხო ქვეყნელია და იმის მოკვლას აქ ვერავინ გაიგებს.

ამ ლაპარაკის დროს სტუმარი თურმე სახლის ძველს მებელსა და მორთულობას ათვალიერებდა, რომელიც მას პატარაობის მოგონებით ძლიერ ძვირად უღირდა. ის გაიტაცა ამ მოგონებამ და სკტბებოდა იმ აზრით, რომ თავისი განზრახვა შეასრულა.

ამ დროს მამა ნაჯახით მიეპარა სტუმარს და ერთი დაკვრით მოჰკლა ის, ვის გულისთვისაც ამ ბოროტ მოქმედობით ისკრებოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ გათხოვილი ქალიც მოვიდა მათთან და თქვენ წარმოიდგინეთ, რა ყოფასაც დედ-მამა და შვილი დაათვლდნენ.

დედ-მამა დაუჭერიათ და რუშჩუკის საპყრობილეში ჩაუსვამთ, სანამ სამსაჯულო იმათ საქმეს გაარჩევდეს.

# სამართალი

### ლუარსაბ ლოლუას საქმე.

ამ თვის ცხრას თფილისის სამსაჯულო პალატამ განიხილა უფ. ლ. ლოლუას საქმე, რომელსაც აბრალებდნენ ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს წევრის უფ. სელიტრენნიკოვის გაკიცხვას.

აზნაური ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა მიეცა ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს სამართალში იმ ბრალდებისაგამო, რომ 17 ნოემბერს 1872 წ. იმან საგინებელი სიტყვებით განკიცხა ქუთაისის მაზრის სამსაჯულოს წევრი სელიტრენნიკოვი, იმ მიზეზისაგამო რომ სელიტრენიკოვი თავის ვალდებულებას ასრულებდა.

სამსაჯულო გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ 17 ნოემბერს დ. ყვირილაში ქუთაისის მაზრის სამსაჯულო განიხილვიდა სისხლის სამართლის საქმეს აზნაურის ბარათაშვილისას, რომელსაც აბდუშელიშვილის მკვლელობას აბრალებდნენ. ბრალდებულის დამცველად ყოფილა უფ. ლოლუა, რომელიც სამსაჯულო სხდომის დროს რამდენჯერმე გაუჩერებია თავს-მდომარეობის აღმასრულებელს სელიტრენნიკოვს, რადგანაც ლოლუა მოწმებს იმისთანა კითხვებს აძლევდა თურმე, რომელიც სელიტრენნიკოვის აზრით ნამეტნი ყოფილიყო. საქმის გარჩევა სამსაჯულოს ვერ გაეთავებია იმ დღესვე და ღამის 11 სათზედ იმის განხილვა მეორე დილამდის გადაედვა. ყველა თავ-თავის სახლისაკენ გამგზავრებულა. ქუჩაში მიმავალს სელიტრენნიკოვსა და ლოლუას მოსვლიათ ლაპარაკი, რომელსაც სელიტრენნიკოვი და ლოლუა და მოწმები სულ სხვა და სხვა ნაირად მოგვითხრობენ.

უფ. სელიტრენნიკოვი ამბობს, რომ ლოლუამ ამ გვარი კითხვა მომცაო: „ახლა რაღა უნდა ვქნა? ეს რა საქმე მიყვით მე თქვენ სამსაჯულოში?“ მე ვუპასუხეო: „მე

რავიცი, თქვენ რას იზამთ, მაგრამ ამას კი გირჩევთ, სამსაჯულოში წესიერად დაიჭიროთ თავი.“ ამ სიტყვების შემდეგ უფ. სელიტრენნიკოვს გაუხსენებია ლოლუასთვის რამდენიმე უწესოება, რომელიც იმას იმდღეს სამსაჯულოში გაებედნა. ამაზედ ლოლუამ ხმა მაღლად მიპასუხა, ამბობს სელიტრენიკოვი: თქვენს თვალში დირე ვერ დაგინახავთ და სხვისაში წველს ეძებთ: თქვენ თვითონ გზა დაუბნიეთ მოწმებს, — ეს უსინიდისობაა.

უფ. ლოლუა ამას ამბობს: სელიტრენნიკოვმა მითხრა, „თქვენ კლიენტისაგან 600 მანეთი აგიღიათ და ეხლა თავს ანებებთ, — ეს უსინიდისობაა, “და მე ვუპასუხე: მე ჩემი კლიენტისათვის თავი არ დამინებებია, მაგრამ თქვენ კი სხვის თვალში წველს ხედავთ და თავისაში დირეც ვერ შეგიმჩნევიათ.

უფ. სელიტრენიკოვის მოწმებმა აჩვენეს:

სამსაჯულოს წევრმა ლუკაშევსკიმ: მე დავესწარი სელიტრენნიკოვისა და ლოლუას ლაპარაკს. მახსოვს, რომ, როცა სელიტრენნიკოვმა ლოლუას წესიერება ურჩია, ლოლუამ ჰკითხა მას: რა უწესოება ჩავიდინეო? სელტრენნიკოვმა განუმარტა, რომ თავსმჯდომარის კითხვაზედ: „გნებავსთ თუ არა, რომ სამსაჯულომ წააკითხვინოს ჩვენება, რომელიც წინაპირველი გამოძიების დროს ერთს მოწმეთაგანს ჩამოერთვა“, ლოლუამ ხმა-ამაღლებით უპასუხა: „წაიკითხეთ.“ როცა ლოლუამ სელიტრენნიკოვს შესჩივლა, რომ თქვენ სამსაჯულოში მავიწროვებთო, ლაპარაკის ნებას არ მაძლევთო, სელიტრენნიკოვმა უპასუხა, მე კი არა ჩემი ამხანაგებიც აგრე მოგეპყრობოდნენო. ამაზედ ლოლუამ უპასუხა: უთუოდ თქვენი ამხანაგებისაგან მიგიღიათ დესპოტური ყოფაქცევა, მაგრამ დესპოტობამ თქვენი ჭირი წაიღოს, მოწმებს რათ უბნევთ გზასა და კვალს, — ეს უსინიდისობაა თქვენის მხრით. სელიტრენნიკოვმა უთხრა: „თქვენ აქაც თავხედობას ბედავთ.“ „დიაღ ვბედავ და ვნახოთ ეს რითი გათავდება“, მიაყოლა ლოლუამ.

მოწმემ ტიხომიროვმა აჩვენა: მე მინდოდა ადვოკატობა დამეწყო და ამიტომ ადრევე ვსცდილობდი გამეცნო, თუ როგორი ყოფაქცევა საჩვევიათ აქაურს ადვოკატებს სამსაჯულოში საქმის გარჩევის დროს და მე, მართალი უნდა ვსთქვა, გაკვირვებული ვიყავი ლოლუას უზრდელობით. ლოლუა იჯდა სამსაჯულოში კლოშებითა და პალტოთი და როგორც ის ამბობდა ავათმყოფობის გამო, და მართლაც აციებდა ამ დროს. ტიხომიროვმა სთქვა, რომ მე ლუკაშევსკისთან ვსდგევარ. სელიტრენნიკოვისა და ლოლუას ლაპარაკს არ დავსწრებივარ, მაგრამ ლუკაშევსკიმ, შინ რომ მოვიდა, მითხრა: სელიტრენიკოვმა ლოლუას დასძრახა, სამსაჯულოში ცუდად იქცეოდიო და ამაზედ ლოლუამ უპასუხა: „მოწმის კვალის დაბნევა უსინიდისობააო“.

ბ. ქლენტმა აჩვენა: სელიტრენნიკოვისა და ლოლუას ლაპარაკი მთლად არ გამიგონია. მე მომესმა მხოლოდ შემდეგი ლოლუას სიტყვები: „უსინიდისობაა თქვენის მხრით, რომ მოწმეს გზასა და კვალს უბნევთ“.

ბრალდებულის დამცველი აჩვენებდა უთანხმოებას ამ სიტყვებსა და წინაპირველი გამოძიების დროს ნაჩვენებს სიტყვებს შორის. მაშინ ნაფიცი ვექილი ბ. ქლენტი ორჯერ ამტკიცებდა, გავიგონე, რომ ლოლუამ უთხრა სელიტრენიკოვს: „თქვენის მხრითაც უსინიდისობაა მოწმის გზის დაბნევა“. სამსაჯულომ კითხა ქლენტს, რატომ აჩვენებთ ეხლა სხვა ნაირად. ამაზედ ქლენტმა მოახსენა სამსაჯულოს: მე უფლება მაქვს, რომ გამომძიებლისაგან ჩამორთმეული ჩვენება შევცვალოო.

ლოლუას მოწმები, რომელთაც გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა, არ მოსულან სამსაჯულოში საქმის განრჩევის დროს, მაგრამ სამსაჯულომ იმათი ჩვენება საჭიროდ არ დაინახა და ამიტომ უარი უყო ბრალდებულს, რომ საქმის გარჩევა სხვა დროსთვის გადაედვათ.

საქმე გათავდა იმითი, რომ მაზრის სამსაჯულოს წევრის სელიტრენიკოვის საგინებელი სიტყვებით განკიცხვისათვის, რომელიც იმას ვალდებულების ასრულების გამო ლოლუამ მიაყენა, მაზრის სამსაჯულომ ლოლუას ორი თვით დასამშვიდებელს სახლში დაწყვდევა განუჩინა და, რადგანაც ქუთაისში დასამშვიდებელი სახლი არ არის, იმის მაგიერ იმდენსავე ხანს სატუსაღოში ჯდომა განუწესა.

პალატაში საქმის გარჩევის დროსაც არ მოსულან ლოლუას მოწმები და ბრალდებულის თხოვნა საქმის გარჩევის გადადებაზედ უყურადღებოდ დასტოვა პალატამ.

პროკურორის ამხანაგმა სთქვა: დამტკიცებულია, რომ ლოლუას გასაკიცხავი სიტყვები უთქვამს უფ. სელიტრენნიკოვისათვის და ეს იმის ნიშანია, რომ ლოლუას არ სცოდნია ჩვეულებრივი ზრდილობის კანონები. და რაც შეეხება, იმას თუ რომელი მუხლის წინააღმდეგია ლოლუას დანაშაულობა, მე მგონია, რომ ეს დანაშაულება სისხლის სამართლის კანონების 286 მუხლს არ ექვემდერება, რადგანაც სამსახურის ასრულების დროს კი არ განუკიცხავს ლოლუას სელიტრენნიკოვი, არამედ იმისგამო, რომ სელიტრენნიკოვს ქუჩაზედ შეუფერებელი რჩევა მიუცია ლოლუასთვის.

ბრალდებულის დამცველი, ნაფიცი ვექილი სტეფანოვი, სრულიად დაეთანხმა პროკურორის აზრსა, რომ 286 მუხლი სწორედ ისე უნდა აიხსნას, როგორც ის ამბობს, და განმარტა, რომ სამსაჯულოს წევრის განკიცხვა ყოველივის 286 მუხლის წინაღმდეგი არ არისო. თუ რომ ამ სტატიას ის აზრი მივეცით, როგორათაც ამას ქუთაისის მაზრის სამსაჯულო ხსნის, მაშინ არც ერთს კაცს არ შეეძლება, რომ მსაჯულებს თავის საქმეზედ ელაპარაკოს, ამიტომ რომ ამ ლაპარაკმა შეიძლება რომელიმე სამსაჯულო კითხვაზედ აზრის უთანხმოება გამოაჩინოს, უთანხმოება ბაასად შეიქმნეს და ამ დროს შეიძლება ორივე მხარეს დაავიწყდეს ჩვეულებრივი ზრდილობა. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ეს ორი მხარე სულ სხვა და ნაირს მდგომარეობაშია, ერთი აღჭურვილია და თავის მოწინააღმდეგეს დამწყვდევას ექადის, და მეორე სულ უიარაღოა. სტეფანოვის აზრით 286 მუხლი სჯის მმართებლობისაგან დადგენილი უფლების განმკიცხველის და არა იმ კაცისას, რომელსაც ეს უფლება მინიჭებია. ამ უფლების მქონე კაცსა, როგორც საზოგადოთ ყოველივე კაცს, აქვს სხვა და სხვა ღირსება, მაგრამ ღირსებასთან ნაკლულევანებაც ექნება უთუოდ. ეს კაცი უფლებით აღჭურვილია მხოლოდ მაშინ, როცა ის განწესებულს ადგილზედ, განწესებულს მოვალეობას ასრულებს. როცა ამ საქმეში გართული არ არის, მაშინ ის უბრალო კაცია, რომელის გაკიცხვისათვის ჩვენ არ უნდა დავისაჯოთ 286 მუხლის ძალით. ვექილმა მოიყვანა ამ აზრის დამამტკიცებელი მაგალითი, მერმე გადავიდა იმაზედ, რომ მოწმეების მოუსვლელობით საქმე კარგად გარკვეული არ არისო, რადგანაც მარტო მომჩივანის და იმის მოწმების ჩვენებით საქმის განმარტება შეუძლებელიაო. მაგრამ მომჩივანის და იმის მოწმეების ჩვენებასაც რომ დავადგეთ, მაშინაც არ შეიძლება ლოლუა დანაშაულად გამოვიყვანოთ, რადგანაც ლოლუას სიტყვები მოსამსახურე კაცს არ შეეხებოდა, არამედ უბრალო კაცს. რა საფუძველი ჰქონდა უფ. სელიტრენნიკოვს, რომ თავის უფლების სამზღვარსა და კანონიერი მოვალეობის ასრულებას გარდახდა და ქუჩაზედ შენიშვნა და საყვედური უთხრა ლოლუას, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა, რომ თავისი ღირსება და პატივი იმ გვარად დაეცვა, როგორათაც ის ამჯობინებდა.

დამცველს შემდეგ ლოლუამაც სთქვა თავის გასამართლებელად ორიოდე სიტყვა.

სამსაჯულო პალატამ ლოლუა დანაშაულად იცნო სელიტრენნიკოვის განკიცხვაში და ამისთვის 75 მანეთი ჯარიმის გარდახდა განუჩინა.

---


უზრუნველ-მყოფელი საზოგადოება

# „ღუზა“-„ЯКОРЬ“

მოსკოვში.

საფუძვლად დადებულია და სრულიად შეტანილია 2,500,000 მანეთი.

სამმართველო.

თავს მჯდომარე: ვ. ი. ბარანოვსკი.
დირექტორები: ე. ი. ბისკუპსკი.
კ. კ. ბანზა.
ნ. ი. ილინი.
ნ. ა. აბრიკოსოვი.
მინდობ. მმართველი დ. ა. სენკოვიჩი.

ტფილისში საზოგადოების სააგენტო გაიხსნა 9 აპრილს და იღებს:

1. ცეცხლისაგან უზრუნველ-საყოფელად ყოველ გვარს მოძრავს და უძრავს ქონებას.

საზოგადოება უზღავს ყოველს ზარალს, რაც უეცრად ან მეხისაგან გაჩენილის ცეცხლის გამო მოხდება, აგრეთვე იმ ზარალსაც, რომელიც უზრუნველ-ყოფილს ქონებას ცეცხლის გასაქრობად, ან იმის გავრცელების მოსასპობლებლად, მიღებული საშუალებით მიეცემა და ან რასაც უზრუნველ-ყოფილი ქონების პატრონი ამ ქონების ცეცხლისაგან დასაცველად, ან გადასარჩენად, დახარჯავს.

2. უზრუნველ-საყოფელად გზაში მყოფს საქონელს (ტრანსპორტებს) როგორც რუსეთში, ისე მთელს ევროპაში.

უზრუნველ-მყოფელობის ვადა საქონლის მიღებიდგან იწყება და თავდება მიმღების ხელში გადაცემით. საზოგადოება კისრულობს პასუხის-მგებლობას გზაში მოპარულის ან დაკარგულის საქონლისათვის. ამაზედ განსაკუთრებითი პირობები უნდა დაიდვას საზოგადოებასა და საქონლის პატრონებს შორის.

3. უზრუნველ-საყოფელად კაპიტალებს და ყოველივე შემოსავალს (სიცოცხლეს)

უზრუნველ-საყოფელი ტაქსა სხვა საზოგადოებაზედ უფრო ნაკლებია და ხარჯს დოქტორისაგან შესამოწმებელად და სხვასაც საზოგადოება თვითონვე კისრულობს.

4. ამ ახლო ხანში ყანების **სეტყვისაგან** უზრუნველ-საყოფელად მიღებაც დაიწყება.

სააგენტო არის ერევნის მეიდანზედ, ქალაქის შენობაში, ტფილისს.

აგენტები ს. ხაჩატურიანი და ი. ტერ-გრიგორიანი.


---

| რკინისგზა თფილისიდამ | დილა ს. | დილა წ. | სალამ. ს. | სალამ. წ. | II კ. მ. | II კ. კ. | III კ. მ. | III კ. კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთიდამ | დილა. | | | | | | | |
| ფოთი | 7 | 38 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაფ., შუადღეზე.
სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაფათს, ღამე.
ოდესას — პარასკევს, შუადღეზე.

გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ —
ასტრაბადისკენ —

**ტელეგრაფი**

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | . | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| სპარსეთში | 5 | 76 |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში | 3 | 50 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| საფრანგეთში | 3 | 40 |
| ინგლისში | 4 | — |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:
ყოველგან — პარასკევობით. ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაფ. განჯას — ოთხშაბათს (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან — ორშაფ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაფ. და მაფათ. (სალამომდი.)

გ) გორიდამ.
ყოველგან — ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკეობით (სალამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა ღირს: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში. | 10 |
| საფრანგეთში | 20 |
| გერმანიაში | 10 |
| ინგლისში | 16 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 5 აპრილს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33 1/2 პენსი. | | |
| პარიჟში 353 სანტიმი. | | |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 1/2 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 165 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 162 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის (5 1/2) | 85 1/2 | — |
| მოსკოვის (5%) | 87 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 240 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 127 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 567 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 195 | — |
| „სალამანდრასი“ | 315 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 640 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 180 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 262 | 50 |
| მოსკოვის უზრ. მყოფი საზ. | 268 | — |

| თფილისის მაზანდა 17 აპრილს, 1874 წ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პური ერევნის | — | 95 |
| — განჯის | 1 | — |
| ქერი | — | 60 |
| ბამბა ერევნის | 4 | 20 |
| — ამერიკისა | 5 | 80 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქმული | 3 | 80 |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 3 | 80 |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | — |
| ხორცი ძროხის | — | 80 |
| — ცხვრის | — | 90 |
| სპირტი | 7 | — |
| შაქარი კარგი | 7 | 90 |
| — ფხვნილი | 6 | 90 |
| ყავა ბრგვალი | 20 | 50 |
| — საშუალი | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | 97 |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 5 | 97 |


**განცხადებები**

ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს იმათ, ვისაც მიხაილის სახელოსნო შკოლის ასაშენებლად შესაწირავს სიაზედ ხელი მოაწერა და აქამდის ფული არ შეუტანია, შეპირებული შესაწირავი პირად ქალაქის თავს თ. ი. დ. თუმანოვს წარუდგინოს, ან კონვერტით იმის სახელზედ ქალაქის გამგეობაში გამოგზავნოს, თუ შეიძლება ოცდა-რვა აპრილამდი. ამას გარდა ქალაქის გამგეობა მიიწვევს შემწეობის აღმოსაჩენად ყველას, ვისაც აქამომდე ამ სასარგებლო საქმეში მონაწილეობა არ მიუღია და შეძლებისამებრი შეწევნა სურს.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Апрѣля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.